ამერიკელი რეჟისორი დევიდ ლინჩი სამშვიდობო მისიებში დაჭრილ და დაშავებულ სამხედროებს შეხვდა

20-11-2017 08:27

178

დევიდ ლინჩი წეროვანის რეაბილიტაციის ცენტრს ეწვია. ამერიკელი რეჟისორი ფონდის დელეგაციის წევრებთან ერთად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებსა და სამშვიდობო მისიებში დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებს შეხვდა.

ადგილზე სტუმრებს თავდაცვის მინისტრისა და გენერალური შტაბის უფროსის მოადგილეები დახვდნენ.

დევიდ ლინჩის ფონდი საქართველოში ამერიკული უნივერსიტეტისა და A კლასის კინოფესტივალის დაარსებაზე მუშაობს, ორგანიზაციის საქმიანობა მოიცავს ასევე, ტრავმული სტრესის ქვეშ მყოფი ადამიანების ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას.

,,ჩვენ დაშავებულთა დეპარტამენტში გვაქვს სამი სამმართველო, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით მუშაობს, მაგრამ საინტერესო იქნება თუ ამ მიმართულებას ჩვენი დეპარტამენტი განიხილავს,“ - განაცხადა თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ზაალ კაპანაძემ.

THE AMERICAN FILM DIRECTOR DAVID LYNCH MET WITH THE MILITARIES WOUNDED AND INJURED IN THE PEACE MISSIONS

David Lynch visited Tserovani Rehabilitation Center. The American film director together with the members of the Foundation visited militaries wounded and injured in the combats for the territorial integrity of Georgia and Peace Missions.

The guests were hosted by the Deputy Minister of Defence and the Head of the General Staff.

The David Lynch Foundation in Georgia is working on the establishment of the Amercan University and the A-class film festival. The activity of the organization also includes psychological rehabilitation of the people with post-traumatic stress disorder.

We have three offices in the injury department, who work in different spheres, but it will be interesting for our department to discuss it." – announced the Deputy Minister of Defence – Zaal Kapanadze.